USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №41
თებერვალი, 2023

თბილისი, 2023

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №41 ბიულეტენს. მასში აღწერილია დეკემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. 2023 წლის შუალედური და რიგგარეშე არჩევნები

29 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.[1] არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი განკარგულებები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 20 თებერვალს გამართულ სხდომაზე დაამტკიცა.[2] ამომრჩევლები 29 აპრილს აირჩევენ: საქართველოს პარლამენტის ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარ დეპუტატს; გურჯაანის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის, ქუთაისის საკრებულოების მაჟორიტარ დეპუტატებს; ცაგერისა და თერჯოლის მერებს.[3] პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ 22 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე 29 აპრილის პარლამენტის დეპუტატისა და მერების რიგგარეშე არჩევნებისთვის კანდიდატები წარადგინა.[4]

პარლამენტის შუალედური არჩევნები 2023 წლის ოქტომბერშიც ჩატარდება. 6 თებერვალს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის" წევრმა, გორისა და კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ხოჯევანიშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტს, პარლამენტსა და პარტიას ტოვებს და საქმიანობას კერძო სექტორში განაგრძობს.[5] გიორგი ხოჯევანიშვილის მიერ პარლამენტის მანდატის დატოვების გამო, გორი-კასპის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები ჩატარდება. საარჩევნო კანონმდებლობით, თუკი პარლამენტს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრი 15 იანვრიდან 15 ივნისამდე პერიოდში გამოაკლდება, შუალედური არჩევნები იმავე წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, ხოლო თუ ეს მოხდება 15 ივნისიდან 15 იანვრამდე პერიოდში, მაშინ არჩევნები უახლოესი აპრილის თვეში გაიმართება.[6]

[1] 29 აპრილს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები გაიმართება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდი, 2023 წლის 20 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Qrj3M, განახლებულია: 06.03.2023.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] „ქართულმა ოცნებამ" 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებისთვის კანდიდატები წარადგინა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge," 2023 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526705, განახლებულია: 06.03.2023.
[5] „საქართველოსთვის" დეპუტატი პარლამენტს და პარტიას ტოვებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524284, განახლებულია: 10.03.2023.
[6] საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" 198-ე მუხლი.

2. ელექტრონული ტექნოლოგიებით გასამართი არჩევნების წესი

2022 წლის 22 დეკემბერს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები მიიღო,[7] რომლის თანახმად, საქართველო არჩევნებზე ელექტრონულ ტექნოლოგიებს გამოიყენებს. ეს გულისხმობს საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და იდენტიფიცირების, ხმების დათვლისა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების გაციფრულებას. ამასთანავე, იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული მარეგისტრირებელი და მთვლელი აპარატურა არ იქნება, ხმების ამსახველი ბიულეტენები სრულად გაციფრულდება და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აიტვირთება.[8]

ორგანული კანონით არ მოწესრიგებულა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურები, კენჭისყრის დღის მიმდინარეობის დეტალური წესი და პირობები, ელექტრონულად ჩასატარებელი არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების შერჩევის კონკრეტული მექანიზმი და სხვა ტექნიკური საკითხები. 6 თებერვალს ცესკომ მიიღო სამართლებრივი აქტები, რომლებითაც დარეგულირდა კენჭისყრის ელექტრონული საშუალებებით ჩატარების წესი და პირობები.[9] იმავდროულად, შეიქმნა იმ უბნების ჩამონათვალი, სადაც 2024 წლის არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება.[10]

ცესკოს მიერ 6 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრირებული ამომრჩევლის თითქმის 90% ხმას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს.[11] დადგენილებით, ყოველი 700 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის არანაკლებ 1 აპარატი. ასევე, უბანზე უნდა იყოს არანაკლებ 2 ძირითადი საარჩევნო ყუთი მასზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატით. ვერიფიკაციისა ან ხმის დამთვლელი მოწყობილობების გამოუყენებლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია და ხმის დათვლა ტრადიციული მეთოდით მოხდება.[12]

ცესკოს დადგენილებით, 2024 წლის არჩევნები ელექტრონული საშუალებებით ჩატარდება ყველა თვითმმართველ ქალაქში, თვითმმართველი თემების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანზე, ასევე იმ საარჩევნო უბნებში, სადაც შესაბამისი საუბნო და საოლქო კომისიების მისამართებს შორის მანძილი 20 კმ-ს არ აღემატება, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა კი 300-ზე მეტია.[13]

---

[7] „პარლამენტმა „საქართველოს საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონებში შესატანი ცვლილებები მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, 2022 წლის 22 დეკემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CKikWW, განახლებულია: 13.01.2023.

[8] „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საარჩევნო კოდექსსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Omutq1, განახლებულია: 13.01.2023.

[9] „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) 2023 წლის 6 თებერვლის N7/2023 დადგენილება, ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5713266?publication=0, განახლებულია: 10.03.2023.

[10] „საარჩევნო უბნების განსაზღვრის შესახებ, სადაც საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნები ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარდება“, ცესკოს 2023 წლის 6 თებერვლის N5/2023 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yz7zUV, განახლებულია: 10.03.2023.

[11] „2024 წელს ამომრჩევლის თითქმის 90% ხმას ელექტრონულად მისცემს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524534, განახლებულია: 10.03.2023.

[12] „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) 2023 წლის 6 თებერვლის N7/2023 დადგენილება.

[13] „2024 წელს ამომრჩევლის თითქმის 90% ხმას ელექტრონულად მისცემს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”.

3. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები

ევროკომისიამ ევროკავშირის კანონთა კრებულთან (EU acquis) საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის შესაბამისობის შესახებ ანალიტიკური ანგარიშები გამოაქვეყნა.[14] დოკუმენტები ავსებს ევროკომისიის მიერ 2022 წლის ივნისში წარმოდგენილ მოსაზრებებს, რომლებიც მხოლოდ თანამშრომლობის რამდენიმე ძირითად სფეროს ეხებოდა. ამჯერად კი, ხსენებულ ანგარიშებში შეფასებულია გაწევრიანებისთვის თითოეული ქვეყნის მზაობა.[15]

დოკუმენტები ეფუძნება სამი ქვეყნისთვის გაგზავნილ კითხვარებზე მიღებულ პასუხებს, ასევე მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებული ინტენსიური დიალოგის ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას.[16] ანგარიშებში სამივე მათგანი პოზიტიურად არის შეფასებული.[17]

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ აღნიშნა, რომ შედეგი ძალიან პოზიტიურია და ასახავს საქართველოს მზაობას, აიღოს ევროკავშირთან წევრობის პასუხისმგებლობები,[18] თუმცა ზოგიერთი მიმართულებით პროგრესი ჯერ კიდევ მისაღწევია.[19]

12 რეკომენდაციაზე საუბრისას ევროკავშირის ელჩმა პროცესში მხარეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე მიუთითა და ხელისუფლებასა და ოპოზიციას კონსტრუქციულობისკენ მოუწოდა.[20] ამ კონტექსტში მან საპარლამენტო საქმიანობაში ოპოზიციის ჩართულობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.[21]

21 თებერვალს მიღებულ რეზოლუციაში ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა ევროკომისიას და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭოს, იმავდროულად, მოლდოვასთან, უკრაინასა და საქართველოსთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყოს.[22]

23 თებერვალს საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალმა ჯგუფმა „ხალხის ძალამ“ კანონპროექტი დააინიციირა, რომელიც ორგანიზაციას, რომლის წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო „უცხოური ძალაა“, უცხოური გავლენის აგენტების რეესტრში დარეგისტრირებას ავალდებულებს.[23] ამ ფაქტს ნეგატიური რეაქციები მოჰყვა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროექტი ევროკავშირის წევრმა ცალკეულმა სახელმწიფოებმა გააკრიტიკეს.[24] ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერ პიტერ სტანოს განცხადებით, შემაშფოთებელი იყო

---

[14] „ევროკომისიამ ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობის შესახებ ანალიტიკური ანგარიშები გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/523810, განახლებულია: 10.03.2023.

[15] იქვე.

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] „ევროკავშირის ელჩი ქართველ პოლიტიკოსებს „თანამშრომლობისკენ“ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 13 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525409, განახლებულია: 10.03.2023.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ ევროკავშირში ასოცირებული ტრიოს გაწევრიანების მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/523549, განახლებულია: 10.03.2023.

[23] „ქართული ოცნება“ მხარს დაუჭერს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526414, განახლებულია: 16.03.2023.

[24] „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტს აკრიტიკებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/527714, განახლებულია: 16.03.2023.

„ხალხის ძალის“ მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი.[25] მისი თქმით, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და შენარჩუნება, ასევე მედიის თავისუფლება დემოკრატიის საფუძველია.[26]

4. საზოგადოებრივი განწყობები ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევაში

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) 2 თებერვალს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (81%) ქვეყნის ევროინტეგრაციის ერთგულია, ხოლო 73% ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას უჭერს მხარს.[27]

მთავრობის საქმიანობის დადებითი შეფასების ზრდის პარალელურად, მოიმატა მმართველი და ოპოზიციური პარტიების მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილებამ.[28] კვლევის შედეგების თანახმად, ბოლო (სექტემბრის) კვლევის შემდეგ 75%-იდან 81%-მდეა გაზრდილი ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა,[29] ხოლო 10 პროცენტული პუნქტით (41%-იდან 51%-მდე) - იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებენ.[30] გამოკითხულთა 39% აცხადებს, რომ მათ შეხედულებებთან ახლოს არცერთი პარტია არ დგას. 25% - „ქართულ ოცნებას“, 6% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 13% კი სხვა პარტიებს ასახელებს.[31]

5. მიხეილ სააკაშვილის საქმე

5.1. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი არევაძემ 6 თებერვალს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ გაათავისუფლა და არც სასჯელი გადაუვადა.[32]

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ 1-ელ თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „თვითდაზიანებას“ მიმართავს.[33]

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ექსპრეზიდენტის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქართველ ხალხს „მიესაჯა ჩაკეტილ წრეზე ტრიალი და ამ ვითარების მძევლად დარჩენა“.[34]

---

[25] „პიტერ სტანო: ევროკავშირი შეშფოთებულია უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტით“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526940, განახლებულია: 16.03.2023.

[26] იქვე.

[27] „საზოგადოებრივი განწყობები NDI-ის ახალ კვლევაში“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526775, განახლებულია: 10.03.2023; საზოგადოებრივი განწყობები საქართველოში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2023 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42dvQ0G, განახლებულია: 10.03.2023.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] „სასამართლომ მიხეილ სააკაშვილი არ გაათავისუფლა, არც სასჯელი გადაუვადა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 6 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524319, განახლებულია: 10.03.2023.

[33] „იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილს „თვითდაზიანების“ შეწყვეტისკენ მოუწოდებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 2 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/523536, განახლებულია: 10.03.2023.

[34] „პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილზე სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმიანება“ საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524597, განახლებულია: 10.03.2023.

ევროპარლამენტმა, 577 ხმით 33-ის წინააღმდეგ, პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, გაათავისუფლოს სააკაშვილი.[35] რეზოლუციაში ნათქვამია, რომ სააკაშვილის საქმე არის ევროპული ღირებულებებისა და დეკლარირებული ევროპული მისწრაფებებისადმი, მათ შორის, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსისადმი საქართველოს მთავრობის ერთგულების ლაკმუსის ტესტი.[36] რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით პროგრესის არარსებობა ზიანს მიაყენებს საქართველოს რეპუტაციას და შეაფერხებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის პერსპექტივას.[37]

„ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ რეზოლუციის ტექსტს „აბსურდული" უწოდა.[38] შალვა პაპუაშვილის შეფასებით, ევროპარლამენტის რეზოლუციები დეზინფორმაციის წყაროდ და საქართველოზე თავდასხმის საშუალებებად იქცა.[39]

კლინიკა „ვივამედის" ექიმებმა 22 თებერვალს პრესკონფერენცია გამართეს, სადაც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრეს და თქვეს, რომ არსებობს მისი მდგომარეობის დამძიმების ტენდენცია.[40]

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის ბოლო დასკვნით, რომელიც 27 თებერვალს გამოქვეყნდა, სააკაშვილის მდგომარეობა წინა (დეკემბრის) ვიზიტის შემდეგ საგრძნობლად დამძიმდა.[41]

5.2. საპროტესტო აქციები მიხეილ სააკაშვილის სოლიდარობისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 6 თებერვალს მიხეილ სააკაშვილის პატიმრობაში დატოვების შემდეგ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" (ენმ) საპარლამენტო საქმიანობის ბოიკოტი გამოაცხადა, „საგანგებო რეჟიმზე" გადავიდა და ქვეყნის მასშტაბით მიხეილ სააკაშვილის სოლიდარობის აქციები დაგეგმა.[42] პრემიერმა ღარიბაშვილმა დაგეგმილი აქციები გააკრიტიკა და განაცხადა, რომ „ენმ" არის გაკოტრებული, დისკრედიტირებული და მარგინალიზებული რადიკალური ძალა.[43]

---

[35] „ევროპარლამენტმა მიხეილ სააკაშვილის შესახებ რეზოლუცია მიიღო", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525756, განახლებულია: 10.03.2023.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] „პოლიტიკოსები მიხეილ სააკაშვილზე ევროპარლამენტის რეზოლუციას ეხმიანებიან", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525818, განახლებულია: 10.03.2023.

[39] იქვე.

[40] „ვივამედის" ექიმები მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის „დამძიმების ტენდენციაზე" საუბრობენ", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 22 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/526844, განახლებულია: 10.03.2023.

[41] „ომბუდსმენის კონსილიუმმა მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაზე დასკვნა გამოაქვეყნა", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 27 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/527776, განახლებულია: 10.03.2023.

[42] „ენმ ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციებს გეგმავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/524641, განახლებულია: 10.03.2023.

[43] „პრემიერი კვლავ „მეორე ფრონტის გახსნის მცდელობებზე" საუბრობს და ენმ-ს აკრიტიკებს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2023 წლის 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/525167, განახლებულია: 16.03.2023.

6. შიდაპარტიული არჩევნები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“

ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილის გამარჯვების შემდეგ რამდენიმე ლიდერმა პარტიული თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა.[44] არჩევნების მეორე დღესვე ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში ენმ-ის ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობას ტოვებს.[45]

30 იანვარს „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა კობა ნაყოფიამაც.[46] თანამდებობები დატოვეს ასევე აკაკი მინაშვილმა და ბაჩო დოლიძემ, რომლებსაც პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საორგანიზაციო მდივნის თანამდებობები ეკავათ,[47] აგრეთვე ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი კირთაძემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პატარაიამ.[48]

5 თებერვალს ენმ-ის მე-10 ყრილობაზე დაამტკიცე პარტიის ახალი თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი, ასევე აირჩიეს ახალი პოლიტიკური საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე და პარტიის გენერალური მდივანი.[49] 5 თებერვლის ყრილობა გააკრიტიკა ენმ-ის წევრების ნაწილმა. პარტიის ყოფილმა თავმჯდომარემ ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ფარდის მიღმა მყოფი ადამიანის გადაწყვეტილებით, „ნაციონალურ მოძრაობაში“, ფაქტობრივად, გაუქმდა პოლიტსაბჭოს, პარტიის საკანონმდებლო ორგანოს არჩევითობა, რადგანაც ახალი წესით, არჩევითი ან ასარჩევი აღარაფერი რჩება.[50] ახალარჩეული პოლიტსაბჭოს წევრობაზე უარი თქვა პარტიის რამდენიმე წევრმა.[51] 17 თებერვალს საპარლამენტო ფრაქცია და პარტია „ენმ“ დატოვა რომან გოცირიძემაც.[52]

---

[44] „ახალი თავმჯდომარის არჩევის პარალელურად, ენმ-ის ლიდერები პარტიულ თანამდებობებს ტოვებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2023 წლის 4 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/523948, განახლებულია: 10.03.2023.

[45] იქვე.

[46] იქვე.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] იქვე.

[50] იქვე.

[51] იქვე.

[52] „რომან გოცირიძემ „ნაციონალური მოძრაობა” დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „BM.GE”, 2023 წლის 17 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/roman-gociridzem-quotnacionaluri-modzraobaquot-datova/127283/, განახლებულია: 10.03.2023.